სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამის სახელწოდება (ქართულად და ინგლისურად)	**ლიტერატურათმცოდნეობა, ტექსტოლოგია და სარედაქციო-საგამომცემლო საქმე / Literary Studies, Textology and Publishing**
მისანიჭებელი კვალიფიკაცია (ქართულად და ინგლისურად)	სამაგისტრო პროგრამის პირველი ნაწილი: 60 ECTS კრედიტი **ლიტერატურათმცოდნეობის მაგისტრი/**Master of Literary Studies მოდულისთვის თეორიული და შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობა; **ფილოლოგიის მაგისტრი / Master of Philology** მოდულისთვის ტექსტოლოგია და სარედაქციო-საგამომცემლო საქმე. სამაგისტრო პროგრამის მეორე ნაწილი: 60 ECTS კრედიტი **კვლევის მაგისტრი ლიტერატურათმცოდნეობაში/ Master of Research in Literary Studies** მოდულისთვის თეორიული და შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობა; **კვლევის მაგისტრი ფილოლოგიაში/ Master of Research in Philology** მოდულისთვის ტექსტოლოგია და სარედაქციო-საგამომცემლო საქმე.
პროგრამის მოცულობა კრედიტებით და მათი განაწილება	**სამაგისტრო პროგრამის პირველი ნაწილი: 60 ECTS კრედიტი** • **ლიტერატურათმცოდნეობა, ტექსტოლოგია და სარედაქციო–საგამომცემლო საქმის** სამაგისტრო პროგრამის ყველა მოდულისთვის სავალდებულო დისციპლინები - 20 ECTS კრედიტი; მოდულის სავალდებულო დისციპლინები: • **თეორიული და შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობა**- 20 ECTS კრედიტი; • **ტექსტოლოგია და სარედაქციო–საგამომცემლო საქმე** - 20 ECTS კრედიტი; არჩევითი დისციპლინები: • **თეორიული და შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობა**- 20 ECTS კრედიტი; • **ტექსტოლოგია და სარედაქციო–საგამომცემლო საქმე** - 20 ECTS კრედიტი; **მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების წინაპირობაა სტუდენტის მიერ60 ECTS სასწავლო კრედიტის დაგროვება.**

	სამაგისტრო პროგრამის მეორე ნაწილი: 60 ECTS კრედიტი • **ლიტერატურათმცოდნეობა, ტექსტოლოგია და სარედაქციო–საგამომცემლო საქმის** სამაგისტრო პროგრამის ყველა მოდულისთვის სავალდებულო დისციპლინები - 10 ECTS კრედიტი; მოდულის სავალდებულო დისციპლინები: • **თეორიული და შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობა**- 10 ECTS კრედიტი; • **ტექსტოლოგია და სარედაქციო–საგამომცემლო საქმე** - 10 ECTS კრედიტი; არჩევითი დისციპლინები: • **თეორიული და შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობა**- 10 ECTS კრედიტი; • **ტექსტოლოგია და სარედაქციო–საგამომცემლო საქმე** - 10 ECTS კრედიტი; სამაგისტრო ნაშრომი - **30 ECTS** კრედიტი **კვლევის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების წინაპირობაა სტუდენტის მიერ 60 ECTSკრედიტის დაგროვება და პროგრამის სასწავლო და სამეცნიერო კომპონენტის (30+30 ECTS კრედიტი) შესრულება.**
სწავლების ენა	ქართული ენა
პროგრამის ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები /კოორდინატორი	**პროგრამის ხელმძღვანელი: პროფ. ირმა რატიანი**
პროგრამაზე დაშვების წინაპირობა	**მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის I ნაწილზე** (60 კრედიტი) სწავლის წინაპირობაა: ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი სწავლის ფართო სფეროებში: 1. ხელოვნება, ჰუმანიტარული მეცნიერებები; 2. სოციალური მეცნიერებები, ჟურნალისტიკა და ინფორმაცია; 3. განათლება; ან შესაძლებელია გავლილი ჰქონდეს დამატებითი (minor) პროგრამა ქართულ ფილოლოგიაში; ➢ ერთიანი სამაგისტრო გამოცდის ჩაბარება; უცხოური (ინგლისური/ გერმანული /ფრანგული) ენის **B1 / B2** დონეზე ცოდნის დადასტურება FCE ტესტური ფორმატის გამოცდით (მიღებული ქულის მიხედვით ენის ფლობის დონის განსაზღვრა : 71-

	100 B2; 51 - 70 B1) ან საერთაშორისო აღიარების მქონე სერტიფიკატით. ამასთან, B2დონით შემომსვლელი მაგისტრანტები თავისუფლდებიან პროგრამის სასწავლო გეგმით შეთავაზებული ინგლისური/ გერმანული /ფრანგული B2.1 და B2.2 კურსების გავლის ვალდებულებისგან. ➢ სასპეციალიზაციო წერითი გამოცდა ლიტერატურის თეორიაში. **მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის II ნაწილზე** (60 კრედიტი) სწავლის გაგრძელების უფლება აქვს პროგრამის პირველი ნაწილის კურსდამთავრებულ **ლიტერატურათმცოდნეობის /ფილოლოგიის** მაგისტრის აკადემიური ხარისხის მქონე პირს. მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის II ნაწილზე სწავლის გაგრძელების დამატებითი პირობები განისაზღვრება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესაბამისი ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის დებულებით, საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად.
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი	**სამაგისტრო პროგრამის პირველი ნაწილის მიზანია** სამაგისტრო პროგრამის „ლიტერატურათმცოდნეობა, ტექსტოლოგია და სარედაქციო-საგამომცემლო საქმე" საერთო მიზნებია: • საშუალება მისცეს სტუდენტებს, გაიაზრონ მხატვრული ტექსტი სხვადასხვა თანამედროვე კრიტიკული: მეთოდის - ინტერპრეტაციული, კომპარატივისტული, ტიპოლოგიური, ჰოლისტიკური და სხვა - მეშვეობით; • დაეხმაროს სტუდენტებს, ღრმად ჩაწვდნენ კრიტიკული თეორიის არსს, რომელიც განსაკუთრებით კარგადაა ასახული ინტერპრეტაციისა და კომპარატივისტიკის (შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობის) კრიტიკული აზროვნების მეთოდებში; • საშუალება მისცეს სტუდენტებს, შეისწავლონ ლიტერატურა ფართო ინტერდისციპლინარულ კონტექსტში და ასახოს მისი ინდივიდუალური ინტერესი საკუთარი კვლევისას ლიტერატურათმცოდნეობასა და სხვა მომიჯნავე დისციპლინებთან მიმართებით. ეს დისციპლინებია: ქართული ლიტერატურის ისტორია, ევროპული ლიტერატურის ისტორია, ფილოსოფია, ესთეტიკა, ანთროპოლოგია, ფოლკლორი და სხვ.; • გააცნოს სტუდენტებს ძირითადი საკითხები/პრობლემები თანამედროვე ლიტერატურულ-თეორიულ მსჯელობებთან დაკავშირებით, გაარკვიოს ის კონკრეტულ ინტელექტუალურ მიმდინარეობებში, ფორმირებებში, ძირითად ცნებებსა და კრიტიკულ საკითხებში; • გააცნოს სტუდენტებს ქართული ლიტერატურათმცოდნეობითი

	ტრადიციები, მათ შორის, ლექსმცოდნეობითი მეთოდოლოგიები და მათი პრაქტიკაში გამოყენება, და განუმარტოს მათი მიმართება თანამედროვე ევროპულ თეორიულ ტენდენციებთან. • დაეხმაროს სტუდენტებს ტექსტის თეორიის - ტექსტოლოგიის, როგორც აუცილებელი ფილოლოგიური დარგისა და სპეციალობის მაღალპრფესიულად ათვისებაში, ხელი შეუწყოსტექსტოლოგიური მუშაობის თეორიული და პრაქტიკული ნიუანსების დაუფლებაში; • გააცნოს სტუდენტებს მხატვრული და არამხატვრული ტექსტის რედაქტირების, კორექტირებისა და სტილისტური დამუშავების თეორიული და პრაქტიკული ტექნოლოგიები; • გააცნოს სტუდენტებს საგამომცემლო საქმიანობის, როგორც ჰუმანიტარული აზროვნების აუცილებელი პრაქტიკული პროდუქტის მუშაობის სპეციფიკა. მათ შორის: საგამომცემლო საქმის ისტორია, ქართული საგამომცემლო საქმის ისტორიის ჩათვლით; წიგნის ბეჭდვის ისტორია, მათ შორის ქართული წიგნის ბეჭდვისა; საგამომცემლო ტექნოლოგიები; ტექსტის გამოსაცემად მომზადების ტექნოლოგიები; ბეჭდვის ტიპები და სახეობები; თემატური გამომცემლობები; საგამომცემლო მარკეტინგი და პროდუქციის რეალიზების ტექნოლოგიები. **სამაგისტრო პროგრამის მეორე ნაწილის მიზანია** პროგრამის მიზანია მოამზადოს კვლევის მაგისტრები როგორც თანამედროვე ლიტერატურათმცოდნეობითი კვლევების ძირითადი თეორიული მიმართულებების - ინტერკულტურული და კულტურათაშორისი კვლევების, ისე სპეციფიკური ფილოლოგიური საქმიანობის - ტექსტოლოგიური კვლევებისა და სარედაქციო-საგამომცემლო მუშაობის მიმართულებით, აღჭურვოს ისინი საჭირო ღრმა და ფუნდამენტური თეორიული და პრაქტიკული ცოდნით. • მოამზადოს კვლევის მაგისტრები თეორული და შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობის, ტექსტოლოგიისა და საგამომცემლო საქმისმიმართულებით სამეცნიერო-კვლევითი, საქმიანობისათვის; • მიმართოს სტუდენტების ინტერესი თანამედროვე თეორიული მეთოდოლოგიების ათვისებისაკენ, რაც მოიცავს ნარატოლოგიას, პოსტსტრუქტურალიზმს, პოსტმოდერნისტულ აზროვნებას, სემიოტიკას, ფსიქოანალიზს, რეცეფციულ ესთეტიკას და სხვ. თეორიული ასპექტების შესწავლისას ყურადღების გაუმახვილოს ისტორიულ ფაქტორზეც, რაც, შესაბამისად, სტუდენტებს მისცემს შესაძლებლობას გაიგონ, თუ როგორ ხდებოდა რომელიმე კონკრეტული ცნების ჩამოყალიბება და ტრანსფორმაცია ფილოსოფიური, ესთეტიკური, პოლიტიკური და სოციალური მსჯელობების გავლენით. სტუდენტებს შეეძლებათ იმუშაონ

	სხვადასხვა ისტორიულ პერიოდზე ანტიკური და შუასაუკუნეებიდან მოყოლებული პოსტმოდერნიზმამდე; • მიმართოს მაგისტრანტების ინტერესი ინტერკულტურული კვლევებისადმი, დაეხმაროს ლიტერატურის როგორც კულტურათაშორისი კომუნიკაციის ფორმის მასშტაბურად გააზრებაში; • დაეხმაროს სტუდენტებს, ჩამოყალიბდნენ კვლევის თანამედროვე ტექნოლოგიებში დაოსტატებულ პროფესიონალებად, რომელთაც შესწევთ უნარი დააკმაყოფილონ ახალი სტანდარტები და, რაც არსებითია, ხელი შეუწყონ ქართული ლიტერატურათმცოდნეობითი სკოლის ჩართვას მსოფლიო ფილოლოგიურ დიალოგში. • პროგრამის განსაკუთრებულ სფეროს წარმოადგენს კვლევითი კომპონენტი, რაც საშუალებას აძლევს სტუდენტებს, ერთად მოუყარონ თავი თავიანთ თეორიულ, ისტორიულ და დისციპლინურ ინტერესს, რათა დასახონ კვლევისა და პრაქტიკული მოღვაწეობის კონკრეტული მიზანი. კვლევითი კომპონენტი მოიცავს ლინგვისტურ/ლიტერატურული ტრადიციის შესწავლას, სპეციალურ ლიტერატურულ-ისტორიულ სფეროს, ლიტერატურულ მიმდინარეობას, მიმართულებას თუ ჟანრს, დისციპლინასთან დაკავშირებულ საგანს ან პროდუქციის სფეროს (მაგ: წიგნის გამოცემა, ფილმი, ფილოსოფია, პოლიტოლოგია, ლინგვისტიკა), სხვა ნებისმიერ, უკვე კარგად განსაზღვრულ, სწავლების სფეროს (მაგ: შუასაუკუნეების შესწავლა, თანამედროვე ევროპული ინტელექტუალური ისტორია, პოპულარული კულტურა, ხელოვნების ისტორია, წიგნის ბეჭდვის ისტორია). ამ საგნებში საკითხავი ლიტერატურა შექმნის სათანადო კონტექსტს და, შემდგომში, დაეხმარება სტუდენტებს სამაგისტრო თემაზე მუშაობისას.
სწავლის შედეგები	სამაგისტრო პროგრამით - „ლიტერატურათმცოდნეობა, ტექსტოლოგია და სარედაქციო საქმე“ - მომზადებული მაგისტრი ერუდირებული სპეციალისტია, მიღებული აქვს დარგის შესაბამისი ღრმა და სისტემური განათლება სპეციალობაში, ფუნდამენტური ცოდნის საფუძვლები ლიტერატურათმოცდნეობით და საგამომცემლო საქმის დისციპლინებში; • შესწევს დამოუკიდებლად პრაქტიკული მუშაობის უნარი. • მაგისტრს აქვს კარგი თეორიული და პრაქტიკული მომზადება, გააჩნია დარგობრივი კომპეტენციები, პრაქტიკული დ ტრანსფერული უნარები და შეუძლია მიღებული თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება.
ა) ცოდნა და გაცნობიერება	**პროგრამის პირველი ნაწილის კურსდამთავრებული ლიტერატურათმცოდნეობის მაგისტრი/ ფილოლოგიის მაგისტრი** • აქვს დარგობრივი სფეროს - თეორიული და შედარებითი

	ლიტერატურათმცოდნეობის, ტექსტოლოგიისა და საგამომცემლო საქმის - უახლეს თეორიულ კვლევებზე დაფუძნებულ ღრმა და სისტემურ ცოდნას; • საგამომცემლო-სარედაქციო საქმის მოდულზე მომზადებული მაგისტრი მიმოიხილავს განსხვავებულ რედაქციებსა და ახდენს გამოცემების სისტემატიზირებას; პრაქტიკული ტექნოლოგიებისა და სარედაქციო მენეჯმენტის გათვალისწინებით, ადგენს საგამომცემლო საქმის წარმოების სტრატეგიებს;
გ) უნარები	• გამოარჩევს ახალ, ორიგინალურ იდეებს, აგრეთვე, ცალკეულ პრობლემებს ინტერდისციპლინურ კონტექსტში სხვადასხვა მეთოდების – ინტერპრეტაციული, კომპარატივისტული, ტიპოლოგიური, ჰოლისტიკური და სხვ. – გამოყენებით; • საგამომცემლო-სარედაქციო საქმის მოდულზე მომზადებული მაგისტრი აწესრიგებს ნებისმიერ მხატვრულ და არამხატვრულ ტექსტს, არედაქტირებს, აკორექტირებს და სტილისტურად ამუშავებს; აფასებს საგამომცემლო საქმიანობის, როგორც ჰუმანიტარული აზროვნების აუცილებელი პრაქტიკული პროდუქტის მუშაობის სპეციფიკას კომპლექსური და ორიგინალური გზით;
გ) პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა	• მუშაობისას ითვალისწინებს საინფორმაციო–საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მიღწევებს. • აფასებს სწავლის პროცესის თავისებურებებს, დამოუკიდებლად გეგმავს დროსდა ახორციელებს სამუშაოს. • პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას ითვალისწინებსდა იცავს აკადემიური პატიოსნების სტანდარტებს;
სწავლის შედეგები	სამაგისტრო პროგრამით - „ლიტერატურათმცოდნეობა, ტექსტოლოგია და სარედაქციო საქმე“ - მომზადებული კვლევის მაგისტრი ერუდირებული სპეციალისტია, რომელსაც • სამაგისტრო პროგრამა _ “ლიტერატურათმცოდნეობა, ტექსტოლოგია და საგამომცემლო საქმე” - შემავალი სასწავლო კურსების დაძლევის შედეგად, უყალიბდება თანამედროვე ტიპის ფილოლოგისათვის მნიშვნელოვანი კვლევის უნარ-ჩვევები. ყოველი სასწავლო კურსის სწავლების შედეგი კონკრეტული უნარ-ჩვევების გამომუშავებაა; სასწავლო მასალა დაფუძნებულია დარგის, მიმართულების აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას (რაც დეტალურად არის ასახული კონკრეტული კურსების სილაბუსების ანოტაციებსა და შინაარსებში). • კვლევის დარგს ფლობს კონცეპტუალურ დონეზე. ასევე, მას შეუძლია დარგობრივ მონაცემთა დამოუკიდებელი ინტერპრეტირება და საკუთარი კომპეტენციების ფარგლებში დარგის მომიჯნავე სფეროებში გარკვევა;

	• შეძენილი აქვს ისეთი უნარ-ჩვევები, რომელიც აუცილებელია განათლების შემდგომ საფეხურზე (დოქტურანტურაში) სწავლის გაგრძელებისთვის;
ა) ცოდნა და გაცნობიერება	**პროგრამის მეორე ნაწილის კურსდამთავრებული კვლევის მაგისტრი ლიტერატურათმცოდნეობაში/ კვლევის მაგისტრი ფილოლოგიაში** • ადარებს მხატვრულ ტექსტებს სხვადასხვა თანამედროვე კრიტიკული მეთოდების - ინტერპრეტაციული, კომპარატივისტული, ტიპოლოგიური, ჰოლისტიკური და სხვ.- მეშვეობით; მიმოიხილავს კრიტიკული თეორიის არსს, რომელიც განსაკუთრებით კარგადაა ასახული ინტერპრეტაციისა და კომპარატივისტიკის (შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობის) კრიტიკული აზროვნების მეთოდებში; • განიხილავს, ლიტერატურათმცოდნეობითი სამეცნიერო-ტერმინოლოგიური აპარატის მეშვეობით, ლიტერატურულ ტექსტებს და ხსნის მათ მეთოდოლოგიური მიდგომების გათვალისწინებით; ერკვევა თანამედროვე ინტელექტუალურ მიმდინარეობებში (მოდერნიზმიდან პოსტმოდერნიზმამდე და შემდეგ), ფორმირებებში, ძირითად ცნებებსა და კრიტიკულ საკითხებში; • აცნობიერებს დარგისათვის სპეციფიკურ ეთიკურ პრობლემებს და შეუძლია ეთიკური პოზიციის ჩამოყალიბება.
ბ) უნარები	• ინდივიდუალური ინტერესიდან გამომდინარე, დამოუკიდებლად ახორციელებს კვლევას ლიტერატურათმცოდნეობასა და სხვა მომიჯნავე დისციპლინებთან მიმართებით. ეს დისციპლინებია: ქართული ლიტერატურის ისტორია, ევროპული ლიტერატურის ისტორია, ფილოსოფია, ესთეტიკა, ანთროპოლოგია, ფოლკლორი და სხვა; • ფლობს და იყენებს დარგისათვის სპეციფიკურ მეთოდებს ექსპერტის დონეზე, შეუძლია საკვლევი პრობლემების შერჩევა, დაკავშირება, კონსტრუირება. მუშაობს ზუსტად და ეფექტიანად; • განიხილავს დარგისათვის შესაფერის სპეციფიკურ მეთოდებს სამეცნიერო-კვლევითი, პედაგოგიური, პრაქტიკული საქმიანობის პროცესში; შეუძლია ლიტერატურათმცოდნეობის, ტექსტოლოგიისა და საგამომცემლო საქმიანობის მიმართულებით ახალ, გაუთვალისწინებელ და მულტიდისციპლინურ გარემოში მოქმედება;
გ) პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა	• კრიტიკული მიდგომის გათვალისწინებითა და დარგობრივი სფეროს უახლეს მონაცემებზე დაყრდნობით, კვლევის მაგისტრი მართავს თავისი დასკვნების, არგუმენტაციისა და კვლევის მეთოდების დამაჯერებელ, მკაფიო, დამოუკიდებელ და კომპეტენტურ კომუნიკაციას აკადემიურ და პროფესიულ საზოგადოებასთან; • ფლობს მულტიმედია კომპეტენციას, რომელიც ხელს უწყობს მათ შემოქმედებით და კრიტიკულ გამოყენებას დარგისათვის სპეციფიკურ კონტექსტში;

	• შეუძლია ღირებულებებისადმი თავისი და სხვების დამოკიდებულების შეფასება და ახალი ღირებულებების დამკვიდრებაში წვლილის შეტანა.
სწავლება-სწავლის მეთოდები	სწავლების პროცესში დავეყრდნობით სალექციო და სამუშაო ჯგუფების, შუალედური დაფინალური წერითი გამოცდების, პრეზენტაციების ფორმებს. გამოყენებული იქნება ვერბალური,გონებრივი იერიში, წიგნზე მუშაობის, მასალის დაკონსპექტების, ანალიზის, სინთეზის, ახსნა-განმარტებისა დაჯგუფური მუშაობის მეთოდები. გამოყენებული იქნება დარგობრივილიტერატურათმცოდნეობითი მეთოდები, აგრეთვე აღწერითი, შედარებითი, შეპირისპირებითიმეთოდები.
შეფასების სისტემა[1]	**შეფასების მოქმედი სისტემა გულისხმობს:** **ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას –** (A) ფრიადი – 91-100 ქულა; (B) ძალიან კარგი – 81-90 ქულა; (C) კარგი – 71-80 ქულა; (D) დამაკმაყოფილებელი – 61-70 ქულა; (E) საკმარისი – 51-60 ქულა. **ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას –** (FX) ვერ ჩააბარა – 41-50 ქულა (აღნიშნული შეფასება სტუდენტს დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლებას აძლევს; 41-50 ქულა, თავის მხრივ, მოწმობს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება, რაც მან დამოუკიდებლად, ლექტორის დაუხმარებლად უნდა შეძლოს). (F) ჩაიჭრა – 40 ქულა და ნაკლები (აღნიშნული შეფასება მოწმობს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანის გავლა ხელმეორედ მოუწევს). **FX-ის მიღების შემთხვევაში** დამატებითი გამოცდა ინიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არაუადრეს 5 დღისა. დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით გამოცდაზე მიღებული ქულათა რაოდენობა. დამატებით გამოცდაზე მიღებული ქულათა რაოდენობა (და არა დასკვნითი გამოცდის ქულები) ემატება გამოცდამდე დაგროვილ ქულათა რაოდენობას და ორივე ერთად ქმნის კურსის საბოლოო შეფასებას. დასკვნით გამოცდაზე დაშვების წინაპირობა: სტუდენტს სემესტრის განმავლობაში დაგროვილი უნდა ჰოქნდეს არანაკლენ 21 ქულისა. გამოცდა ჩაბარებულად ითვლება, თუ სტუდნტი დააგროვებს დასკვნითი

[1]პროგრამის საფეხური, პროგრამის სწავლის შედეგები, შინაარსი, სწავლა-სწავლების მეთოდები და შეფასების სისტემა ბმაში უნდა იყოს ერთმანეთთან და უზრუნველყოფდეს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას

	გამოცდის მაქსიმალური შეფასების ნახევარს. თუ კურსის საბოლოო შეფასება 50-ს არ აღემატება (0-50 ქულაა),ფორმდება F– 0 ქულა. შესაბამისად, სასწავლო კურსის საბოლოო მინიმალური დადებითი შეფასება 51 ქულაა. კვლევითი კომპონენტი (სამაგისტრო ნაშრომი) ფასდება საჯარო დაცვაზე, სადაც მაგისტრანტი დაიშვება ნაშრომის წინასწარი დაცვის წარმატებით გავლის, სამეცნიერო ხელმძღვანელის სათანადო დასკვნისა და სამაგისტრო ნაშრომის Turnitin ელექტრონულ პროგრამაზეპლაგიატის პრევენციის მიზნით გატარების შემდეგ. სამაგისტრო ნაშრომის შეფასების მნიშვნელოვანი ნაწილია დარგის სპეციალისტის რეცენზია (მაქს. 60 ქულიდან მინიმუმ 31 ქულის მიღების გარეშე საჯარო დაცვაზე მაგისტრანტი პრეზენტაციით ვერ წარსდგება)და მაგისტრანტის მიერ კვლევის შედეგების ზეპირი პრეზენტაციადაცვის კომისიის წინაშე (მაქს. 40 ქულიდან მინიმუმ 20 ქულის მიღება აუცილებელია). სამაგისტრო ნაშრომის საბოლოო შეფასება წარმოადგენს რეცენზენტის მიერ დაწერილი ქულისა და სამაგისტრო ნაშრომების დაცვის კომისიის შეფასების ჯამს. სამაგისტრო ნაშრომი დაცულად ჩაითვლება და მაგისტრანტს შესაბამისი კრედიტი მიენიჭება, თუ მის მიერ მიღებული საბოლოო შეფასება 51 ან მეტი ქულის ტოლია. სამაგისტრო ნაშრომის არადამაკმაყოფილებლად (F/FX) შეფასების შემთხვევაში, მისი დაცვაზე წარდგენა იმავე სემესტრში დაუშვებელია.
დასაქმების სფეროები	აღნიშნული სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულს, როგორც მკვლევარსა და ლექტორს, მუშაობა შეეძლება: ➢ საჯარო სკოლაში (პედაგოგთა საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარების შემდეგ), უმაღლესსასწავლებლებში - შესაბამისი მიმართულების შესაბამის აკადემიურ თანამდებობაზე; ➢ ჰუმანიტარული პროფილის კვლევით ინსტიტუტებში; ➢ საქართველოს ეროვნულ ბიბლიოთეკასა და ნებისმიერ სხვა ბიბლიოთეკაში; ➢ მუზეუმებში; ➢ საგამომცემლო ორგანიზაციებში, ჟურნალ-გაზეთების რედაქციებში; ➢ რადიოსა და ტელევიზიაში რედაქტორად და კონსულტანტად; ➢ საქართველოს ცენტრალურ არქივსა და სხვა არქივებში; ➢ საქართველოს საპატრიარქოსთან არსებულ სასულიერო აკადემიასა თუ სემინარიაში; ➢ არასამთავრობო და კერძო სტრუქტურებში ექსპერტად.
სწავლისსაფასური საქართველოს მოქალაქე და უცხო ქვეყნის მოქალაქე სტუდენტებისათვის	საქართველოს მოქალაქის სწავლას სრულად აფინანსებს სახელმწიფო; – სხვა პირის სწავლის სახელმწიფოს მიერ დაფინანსების წესსა და პირობებს ადგენს საქართველოს მთავრობა.

პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო ადამიანური და მატერიალური რესურსი	სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი: პროფესორი ირმა რატიანი ინფორმაცია პროგრამაში მონაწილე აკადემიური პერსონალის შესახებ (იხ. დანართი 3). **ირმა რატიანი**- თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის თეორიული და შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის პროფესორი; შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის დირექტორი; **გაგა ლომიძე** - თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის თეორიული და შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის ასოცირებული პროფესორი; თსუ შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის ლიტერატურის თეორიისა და კომპარატივისტიკის განყოფილების გამგე; **სოლომონ ტაბუცაძე**- თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის თეორიული და შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის ასოცირებული პროფესორი; თსუ შოთა რუსთაველისქართული ლიტერატურის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელი; **ანა ლეთოდიანი** - თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის თეორიული და შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის ასოცირებული პროფესორი; თსუ შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელი **მაკა ელბაქიძე**- თსუ ქართული ლიტერატურის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის ასოცირებული პროფესორი; თსუ შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე, საგამომცემლო საქმის კოორდინატორი. **ირაკლი ხვედელიძე - ფილოლოგიის დოქტორი,** თსუ შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის ლიტერატურის ციფრული ლაბორატორიის ხელმძღვანელი, მეცნიერ-თანამშრომელი **თამარ ბარბაქაძე**- შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის ლიტერატურისთეორიისა და კომპარატივისტიკის განყოფილების მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი (მოწვეული ლექტორი); **თინათინ ბოლქვაძე**- თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათაფაკულტეტის

	თეორიული და შედარებითი ენათმეცნიერების ინსტიტუტის ასოცირებული პროფესორი; **კახაბერ ლორია**- თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის სრული პროფესორი; **ელენე გოგიაშვილი** - თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის ასოცირებული პროფესორი **ანა ხარანაული** - თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართული ენის ინსტიტუტის ასოცირებული პროფესორი; **ლელა წიფურია** -თსუ-ს მოწვეული ლექტორი **ნანა გაფრინდაშვილი** - თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის თარგმანისა და ლიტერატურული ურთიერთობების სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის პროფესორი **ელისო რეხვიაშვილი** - თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის თეორიული და შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტისმოწვეული ლექტორი **მატერიალური რესურსი:** მატერიალურ ტექნიკურ ბაზად გამოყენებული იქნება ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისისსახლემწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის აუდიტორიები, კომპიუტერული ცენტრი, ბიბლიოთეკა; ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახლემწიფოუნივერსიტეტის შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის აუდიტორიები,სამეცნიერო ბიბლიოთეკა, ლიტერატურული არქივი, კომპიუტერული ცენტრი; „თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა", აგრეთვე,პროგრამასთან სახელშეკრულებო ურთიერთობით დაკავშირებული საგამომცემლო სახლები დასტამბები.
პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა	თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის „ლიტერატურათმცოდნეობა, ტექსტოლოგია დასარედაქციო საქმის" სამაგისტრო პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა ხდება ჰუმანიტარულმეცნიერებათა ფაკულტეტის ბიუჯეტიდან, რომელიც უნივერსიტეტის ბიუჯეტის შემადგენელნაწილს წარმოადგენს. საფაკულტეტო ბიუჯეტი უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელებაშიჩართული აკადემიური პერსონალისა და მოწვეული ლექტორების შრომის ანაზღაურებას,პროგრამის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მოვლასა და სრულყოფას.

დამატებითი ინფორმაცია (საჭიროების შემთხვევაში)	სამაგისტრო პროგრამას ემსახურება დარგის მაღალკვალიფიციური აკადემიური პერსონალი. არსებობს მჭიდრო თანამშრომლობა უცხოეთის მთელ რიგ კვლევით ცენტრებთან, რაც უზრუნველყოფს სწავლების მაღალ სტანდარტს. პროგრამის სტუდენტები აქტიურად მონაწილეობენ სამეცნიერო კონფერენციებსა და საგრანტო პროექტებში. მაგისტრანტთა დიდი ნაწილი დაფინანსებულია რუსთაველის სამეცნიერო ფონდის მაგისტრანტთა სასწავლო-კვლევითი პროექტების გრანტით, ისინი აგრეთვე ჩართულნი არიან პროგრამის პროფესურის სამეცნიერო-კვლევით გრანტებში საკუთარი კომპენეტციის ფარგლებში.